ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №80

2023 წლის 27 დეკემბერი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.01.2018, №010250050.35.123.016412), კერძოდ, დადგენილების დანართის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება) მე-11 მუხლის (მერიის სამსახურები) მე-4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მერიის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური;

გ) შიდა აუდიტის სამსახური;

დ) ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;

ე) საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;

ვ) კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური;

ზ) სოციალურ საკითხთა სამსახური;

თ) სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია**